ეძღვნება ყველა აბულაძეს

ა-ბულიდან დაგვიწყია ისტორია, აქ იწყება ჩვენი გვარის გულის ცემა,
ბ-უმბერაზი მთების ძირში დავფრთიანდით, არწივებსაც გვადარებდა გადმოცემა.
უ-სამშობლოდ არ გვინდოდა არსად ყოფნა, არც სიმდიდრე, არც პატივი და დიდება,
ლ-აჟვარდი ცა, იბერიის მზე დაგვნათის, მტკიცედა გვწამს საქართველო გაბრწყინდება!
ა-რ მოვაკლოთ გვარიშვილებს თანადგომა, ჩვენი გვარი კვლავ იზრდება იდიდება,
ძ-მური ჯაჭვით შევაერთოთ ყველა კუთხე, სადაც ერთი აბულაძე გაიზრდება,
ე-რთგულებით: უფლის, ქვეყნის, გვარის, გენის, ყველა საქმე სასიკეთოდ აღსრულდება!

დავით აბულაძე